წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 119253037**

თარიღი:**30/10/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***გადაწყვიტა:***

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 44 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 16 წევრი;

ბ) ფრაქცია “ხალხის ძალა“ – 2 წევრი.

2. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი